

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ Kaspian Kredo “ - ს მუდმივი დაწესებულების (ს/კ 206268304)

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის
 მომზადებული „ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტი (ფასს)
 მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის
 მიხედვით

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16759	61562	60356
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	77225	58918	747483
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	477337	751108	980
მარაგები	25423	12032	10739
მზა პროდუქცია	107	0	10739
სხვა	25316	12032	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	49312
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	2636166	2646537	2694360
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	3232910	3530157	3563230

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	96146	91843	86605
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	11019

საგადასახადო ვალდებულებები	44989	31595	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	1459983	1385439	1471390
სულ ვალდებულებები	1601118	1508877	1569014

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2967430	2912030	2912030
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-2153936	-890750	-917814
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	818298	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1631792	2021280	1994216
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3232910	3530157	3563230
სულ მოკლევადიანი აქტივები	119407	132511	819435
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1601118	1508877	1519701

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	698986	487438
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწვიდან	698986	487438
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-2428	-12628
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	696558	474810
სხვა საოპერაციო შემოსავალი	269997	10074
დასაქმებულთა ანაზღაურება	-258835	-221276
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	-61688	-62260
საპროცენტო შემოსავალი	37577	46037
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-5948	-5357
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-191038	-214758
სულ საოპერაციო ხარჯები	-209935	-447540
საოპერაციო მოგება	486623	27270
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-1748133	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	-206
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-1261510	27064
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-1261510	27064
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-1261510	27064
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2021280	1994216

ახალი აქციების გამოშვება (მზს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	53724	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	818298	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1631792	2021280

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1094983	546186
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1139786	-544980
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-44803	1206
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	61562	60356
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	16759	61562

შპს „Kaspian Kredo“-ს მუდმივი დაწესებულების (ს/კ 206268304)

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით:

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის მიხედვით :

თანდართული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში წარსადგენად.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

კომპანიის მოკლე ისტორია და ძირითადი საქმიანობა:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება Kaspian Kredo-ს მუდმივი დაწესებულება (ს.კ. 206268304) რეგისტრირებულია საქართველოში 25.12.2006 წელს. საზოგადოების დამფუძნებელია რეგისტრაციის თარიღიდან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1400891321, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება KASPIAN KREDO, აზერბაიჯანი (ს.კ. 3317599)

შპს „Kaspian Kredo“-ს მუდმივი დაწესებულების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი არასაცროვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. შპს „Kaspian Kredo“-ს საკუთრებაში არსებული ქონება განთავსებულია შემდეგ მისამართებზე :ქ.თბილისი, სამგორის რ-ნი, ქიზიყის ქ.#22 და სამგორის რ-ნი , მე-3 მასივი, 1კვ,კოვპ „გ“.

მომზადების საფუძვლები :

ორგანიზაციის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“-ის მიხედვით.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. პოლიტიკა გამოიყენება უცვლელად, ყველა წლისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და

საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

აქტივები

ფულადი სახსრები:

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროზე და საბანკო ანგარიშებზე .

საანგარიშგებო ვალუტა :

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში -ქართულ ლარში, რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა :კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას , ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტაში დომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება -ზარალის იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოური ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომელიც ეხება ქონსტრუქციის ქვეშ მყოფ,მომავალში პროდუქტული გამოყენებისათვის არსებული აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში , როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

საოპერაციო საქმიანობა

საოპერაციო საქმიანობა საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი საქმიანობაა. მაშასადამე, საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადები, საზოგადოდ, წარმოიშობა ისეთი სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენებისა და გარემოებების შედეგად, რომლებიც გაითვალისწინება მოგების ან ზარალის განსაზღვრისას. საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მაგალითებია:

(ა) საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები;

ბ) საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები;

(დ) დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები;

(ე) მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა ან დაბრუნება, თუ შეუძლებელია მათი უშუალოდ მიკუთვნება საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობაზე; და

მოკლევადიანი მოთხოვნები:

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგენილია მომწოდებლებზე წინასწარ გადახდილი ავანსებისა და დებიტორული დავალიანებისაგან.

გაცემული სესხები: სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ვალდებულებები

ვალდებულებები, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში წარმოდგენილია როგორც ფინანსური ვალდებულებები. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ვალდებულებები დაყოფილია მოკლევადიან და გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებად. ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე (კრედიტორული დავალიანებები, რომელიც არ არის დაფარული ანგარიშგების თარიღისთვის).

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია მოკლევადიანი სესხის სახით.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

ძირითადი საშუალებების ერთეული აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული ცვეთა .

ცვეთა :

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალებების შემენის მომენტიდან , ან აშენებული აქტივების შემთხვევაში , იმ დროიდან როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთის ნორმების განსხვავებულია ძირითად საშუალებების ჯგუფების მიხედვით , კერძოდ:

შენობა-ნაგებობა -5%

მანქანა -დანადგარები - 20%

ოფისის აღჭურვილობა , ავეჯი, ინვენტარი და სხვა.მოწყობილობები -20%

სატრანსპორტო საშუალებები -20%.

არამატერიალური აქტივები :

არამატერიალური აქტივებს არ აქვთ განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა, ძირითად მოიცავენ კომპიუტერული და საბუღალტრო პროგრამების ლიცენზიებს. ისინი აღიარებულია საწყისი ღირებულებით.

სასაქონლო მატერიალური მარაგები:

მარაგი ისეთი აქტივებია , რომელიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალის სახით, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად .

დაბეგვრა

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები. შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მიიღვეს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან

საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი :

საწესდება კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში, რადგან ეს არის ის თანხა, რომელიც შემოტანილი იყო კომპანიის მფლობელის მიერ.

დივიდენდები :

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დაამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ნასესხი სახსრები :

ნასესხი სახსრები თავიდან აღირიცხება სამართლიან ღირებულებას აკლდება ტრანზაქციის ხარჯები. სამართლიან ღირებულება დგინდება საბაზრო განაკვეთით მზგავს ინსტრუმენტებზე.

ხარჯების აღიარება.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ

შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ,
შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას

ფინასური შემოსავალი და ხარჯები:

ფინასური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხულ
საპროცენტო ხარჯისაგან და გაცემული სესხებზე მიღებული საპროცენტო
შემოსავლებისაგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისაგან, რომელიც ეხება
აღებული სესხებს ან ფულს და ფულის ექვივალენტებს.

შპს „Kaspian Kredo“-ს მუდ. დაწეს.-ის (ს/კ 206268304)

დირექტორი



ილგარ სადიგოვ

